



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 4

2018 წლის 12 იანვარი

ქ.ლაგოდეხი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

#### მუხლი 1

მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონება, მერსედესის მარკის სამი ერთეული ნაგავმზიდი, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, თხოვნების ფორმით გადასცეს შ.პ.ს „კეთილმოწყობას“, 2018 წლის 31 იანვრამდე.

#### მუხლი 2

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

#### მუხლი 3

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

საკრებულოს თავმჯდომარე



კარლო ჯამბურია